უცხო ქვეყნის მოქალაქეები საქართველოში: მითები და სინამდვილე

ავტორი
გივი მომცელიძე

- **მითი:** შარშან „ქართული მარშის“ აქციების ჩატარების ერთ-ერთ მიზეზად უცხოელთა კრიმინალის გახშირება დასახელდა.
  რეალობა: 2015 წელს 1,000 დანაშაულიდან 45 მოდიოდა სხვა ქვეყნის მოქალაქეებზე, გასულ წელს ეს მაჩვენებელი შემცირდა და 38 შეადგინა.

- **მითი:** სამართალდამცველები დანაშაულის ჩამდენ უცხოელებს არ სჯიან.
  რეალობა: 2013 წელთან შედარებით, 2017 წელს 2.5-ჯერ მეტი სხვა ქვეყნის მოქალაქე იხდიდა სასჯელს. არადა, დანაშაულის ჩამდენთა რაოდენობა 1.33-ჯერ გაიზარდა.

- **მითი:** საქართველოს მოქალაქეობის მიღება აზიელ და აფრიკელ სტუმრებს ადვილად შეუძლიათ.
  რეალობა: 86% შემთხვევაში, მოქალაქეობის რეკომენდაცია საქართველოში დაბადებულებზე ან მათი ოჯახის წევრებზე გაიცემა.

- **მითი:** უცხოელები უმეტესად სოფლის მეურნეობის სექტორში საქმდებიან.
  რეალობა: სულ საქართველოში 17,595 უცხოელია დასაქმებული, ამათგან მხოლოდ 1.1% ანუ 189 მოღვაწეობს აგრარულ სფეროში. უცხოელების მიერ დაფუძნებულმა საწარმოებმა 2014 წელს ბიუჯეტში 1 მილიარდამდე ლარი შეიტანეს.

- **მითი:** უცხოელი სტუდენტები განვითარებადი ქვეყნებიდან ჩამოდიან და საქართველოს ეკონომიკა არანაირ სარგებელს არ იღებს.
  რეალობა: მარტო მიმდინარე წელს, უცხოელი სტუდენტები დაახლოებით 78 მილიონ დოლარს დახარჯავენ.

- **მითი:** საკონსტიტუციო აკრძალვამდე, სასოფლო-სამეურნეო მიწებს ძირითადად ინდოელები და არაბები ყიდულობდნენ.
  რეალობა: 2012-16 წლებში სასოფლო-სამეურნეო მიწების შემძენთა ხუთეულში რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საბერძნეთის მოქალაქეები შედიან, რომლებზეც ჯამში 85.3% მოდის. 1.3%-ით მეექვსე ადგილზე ირანელები არიან.

ჩვენი ისტორიის წიგნებში დიდი ადგილი ეთმობა უცხოელთა შემოსევებს და გმირული ბრძოლების აღწერებს. თუმცა საქართველოში მხოლოდ სამტროდ როდი მოდიოდნენ. აბრეშუმის გზაზე მდებარე ქვეყანაში ათობით ეროვნების ადამიანს უწევდა მოგზაურობა, საქმიანობა და საცხოვრებლად დარჩენაც კი. მშვიდობით მოსულები ქართველებთან მშვიდობით თანაცხოვრობდნენ.

იმავეს ვერ ვიტყვით დღევანდელობაზე – პოლიტიკოსთა განცხადებებში, მედიასა და საზოგადოებაში მომატებულია ქსენოფობიური და რასისტული განწყობები. სასწავლებლად, სამუშაოდ თუ სამოგზაუროდ ჩამოსულ უცხოელებს ხშირად ექმნებათ პრობლემები. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ეს ყველაფერი ქვეყნის განვითარებას აფერხებს. სამწუხაროდ, ამ ფონის შექმნას საქართველოს ხელისუფლების პასიურობაც უწყობს ხელს. ამ სტატიის მიზანია, დამაჯერებელი პასუხი გაეცეს საზოგადოებაში დამკვიდრებულ რამდენიმე არაჯანსაღ სტერეოტიპს.

<u>**უცხოელები და კრიმინალი.**</u> სხვა ქვეყნის მოქალაქეების მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტს სოციალურ ქსელებსა თუ მედიაში დიდი გამოხმაურება აქვს ხოლმე. საზოგადოებაში იქმნება შთაბეჭდილება, რომ უცხოელები ძალიან დიდი წილით არიან წარმოდგენილი კრიმინალის

სტატისტიკაში, თუმცა, თუ დიაგრამა №1-ს გავეცნობით, 2012-2017 წლებში უცხოელთა წილი საქართველოში ჩადენილ დანაშაულებებში[1] მინიმუმ 2.4% (2013 წელი), ხოლო მაქსიმუმ 4.5% იყო (2015 წელი)[2].

<u>ხშირად ისმის, თითქოს სამართალდამცველები არ სჯიან უცხოელებს.</u> თუკი 2013 წლიდან 2017 წლის ჩათვლით უცხოელთა მიერ ჩადენილი დანაშაულის მაჩვენებელმა 1.33-ჯერ მოიმატა (577-დან 769-მდე), იმავე პერიოდში საპატიმროებში მყოფ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა რიცხვი დაახლოებით 2.5-ჯერ გაიზარდა (178-დან 447-მდე) (იხილეთ დიაგრამა №2).





<u>ამბობენ, რომ საქართველოს მოქალაქეობას აზიის და აფრიკის ქვეყნების უამრავ მოქალაქეს აძლევენ.</u> ბოლო წლებში ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობის მიმღებთა უმრავლესობა საქართველოში დაბადებული და გაზრდილი პირი, ან მისი ოჯახის წევრია. მათი დიდი ნაწილი 90-იან წლებში ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებში გადასახლდა. სახელმწიფო სერვისების სააგენტოს მოქალაქეობის საკითხთა კომისიის ანგარიშში, რომელიც 2013 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 9 ოქტომბრამდე პერიოდს მოიცავს, აღნიშნულია: *„კომისიის მიერ საგამონაკლისო წესით მინიჭების 32,523 განაცხადი იქნა განხილული, რომელთაგან 23,011 საქმეზე დადებითი დასკვნის სახით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების რეკომენდაცია გაიცა. კომისიის დადებითი დასკვნების 86% შემთხვევაში, რეკომენდაცია საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ გაიცა იმ პირებზე, ვინც ან საქართველოში დაბადებული, ან საქართველოში დაბადებული და ამავდროულად საქართველოს ყოფილი მოქალაქე, ან კიდევ მათი ოჯახის წევრი იყვნენ“.*

ცნობისათვის, საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება პრეზიდენტს ერთპიროვნულად, კომისიის გვერდის ავლითაც შეუძლია. 2013-17 წლებში მსგავსი 3,255 შემთხვევა დაფიქსირდა. 3,187 შემთხვევა 2013 წელზე მოდის, მოქალაქეობის მიმღებთა ძირითადი ნაწილი ანუ 2,763 პირი თურქეთიდან გახლდათ (აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ეთნიკური ქართველები იყვნენ)[3]. 2014-2017 წლებში, გიორგი მარგველაშვილის პრეზიდენტობისას, ასეთი ფაქტი 68-ჯერ დაფიქსირდა და საქართველოს მოქალაქეობა, ძირითადად, რუსეთის, თურქეთის, გერმანიისა და ირანის მოქალაქეებს მიენიჭათ. პერიოდულად აქტიურდება ფერეიდნელთა თემაც. ნაციონალისტური მიმართულების აქტივისტები ხშირად გამოთქვამენ პრეტენზიას, რომ ირანში მცხოვრებ ქართველებს სამშობლო მოქალაქეობას არ ანიჭებს. არადა, გასული წლის 1 იანვრიდან 9 ოქტომბრამდე, მოქალაქეობა 79 ფერეიდნელმა ქართველმა მიიღო[4].

ხშირად გაიგონებთ, რომ აქ ჩამოსულები ძირითადად სოფლის მეურნეობის სექტორში საქმდებიან. ოფიციალურად, 2017 წელს საქართველოში 17,595 სხვა ქვეყნის მოქალაქე მუშაობდა, რომელთაგან მხოლოდ 1.1% ანუ 189 მოღვაწეობდა აგრარულ სექტორში. ყველაზე მეტი ადამიანი კი მშენებლობითა (5,560) და ვაჭრობით (4,757) იყო დაკავებული[5].

2010-დან 2014 წლამდე თითქმის გაორმაგდა სხვა ქვეყნის მოქალაქეთა დაფუძნებულ იურიდიულ პირთა მიერ საქართველოს ბიუჯეტში შეტანილი გადასახადები[6]. წილობრივად კი 11.8%-დან 14.5%-ს მიაღწია (დიაგრამა №3)[7].



უცხოელი სტუდენტები. ხალხის ნაწილი უკმაყოფილებას გამოთქვამს უცხოელი სტუდენტების სიმრავლის გამო. მართლაც, ათი წლის განმავლობაში უმაღლეს სასწავლებლებში საზღვარგარეთიდან ჩამოსულ სტუდენტთა რაოდენობა თვალშისაცემად გაიზარდა – 621-დან 10,074-მდე[8]. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სტუდენტი საშუალოდ 7,733 დოლარს ხარჯავს წელიწადში (სწავლის საფასურს დამატებული ცხოვრების, დასვენების, მოგზაურობის და სხვა ხარჯები). რაც იმას ნიშნავს, რომ მიმდინარე წელს 195 მილიონი ლარი დარჩება (2017 წლის ნოემბერში, როცა კვლევა გამოქვეყნდა, დოლარის კურსი 2.7 ლარი იყო), რაც საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 0.6%, ხოლო მომსახურების ექსპორტის 6%-ია[9]. აღსანიშნავია, რომ საქართველოში სწავლის მსურველთა რიცხვი წლიდან წლამდე იზრდება (იხილეთ დიაგრამა №4) და ასეთი ტემპით შესაძლებელია, ოთხ წელიწადში უცხოელ სტუდენტთა რიცხვმა 20 ათასსაც მიაღწიოს, რაც ავტომატურად ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავლების ზრდასაც ნიშნავს.



<u>სასოფლო-სამეურნეო მიწების უმეტეს ნაწილს აზიის ქვეყნების მოქალაქეები ყიდულობენ.</u> ეს, ალბათ, ყველაზე მეტად გავრცელებული მითი გახლდათ, რომელმაც საბოლოოდ მიწის უცხოელებზე გაყიდვის საკონსტიტუციო აკრძალვაც გამოიწვია. ამ მომენტისთვის ვერ მოხერხდა მოძიება, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქეები რა ფართობის მიწებს ფლობენ საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ გარკვეულ სურათს იძლევა „საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილში“ გამოქვეყნებული 2012-2016 წლების სტატისტიკა[10]. ამ პერიოდში უცხო ქვეყნის 12,998-მა მოქალაქემ შეიძინა სასოფლო-სამეურნეო მიწა, აქედან უმეტესობა რუსეთის წარმომადგენლებზე მოდის – 7,835 შემთხვევა, რაც 60.3%-ია. ხუთეულში შედიან აზერბაიჯანის, სომხეთის, საბერძნეთისა და უკრაინის მოქალაქეები. დანარჩენი ქვეყნების წარმომადგენლებმა ხუთ წელიწადში 1,910-ჯერ შეიძინეს სასოფლო სამეურნეო მიწები, რაც საერთო რიცხვის 14.7%-ია (დიაგრამა №5). მიგრაციის კომისიის ვარაუდით, „*შესაძლოა, მათ [უძრავი ქონების შემძენთა] შორის იყვნენ საქართველოს ყოფილი მოქალაქეები, რომლებმაც თავის დროზე დატოვეს საქართველო და სხვა ქვეყნებში გადავიდნენ საცხოვრებლად და სურვილი აქვთ, უძრავ ქონებაში ინვესტირების მეშვეობით შეინარჩუნონ საქართველოსთან კავშირები. იგივე შეიძლება ითქვას აშშ-ს და ისრაელის მოქალაქეთა შესახებაც*“.

დიაგრამა №5. სოფლის მეურნეობის მიწის შემძენი უცხო ქვეყნის მოქალაქეები (2012-16 წლებში)		
მოქალაქეობა	სასოფლო-სამეურნეო მიწების შემძენთა რიცხვი	წილი
რუსეთი	7835	60,3%
აზერბაიჯანი	1133	8,7%
სომხეთი	1117	8,6%
საბერძნეთი	527	4,1%
უკრაინა	476	3,7%
ირანი	171	1,3%
აშშ	150	1,2%
გერმანია	149	1,1%
ისრაელი	103	0,8%
ერაყი	77	0,6%
თურქეთი	80	0,6%
სხვა ქვეყნები	1180	9,1%
სულ	12998	100%

ტურიზმი. საქართველოში სამუშაოდ და სასწავლებლად ჩამოსულთა ნაკადები აშკარად გაზრდილია, მაგრამ ის ახლოსაც ვერ მივა უცხო ქვეყნის ვიზიტორთა რიცხვთან. თუკი 2007 წელს 1.05 მილიონი სტუმარი გვეწვია, ათი წლის თავზე მათი რიცხვი გაშვიდმაგდა და 7.6 მილიონი შეადგინა[11]. **ხშირად გაიგონებთ, რომ ტურიზმს ეკონომიკისთვის და უბრალო ადამიანებისთვის სარგებელი ნაკლებად მოაქვს.** არადა, თუკი რომელიმე სფეროზე შეიძლება ითქვას, რომ მისი შემოსავლები ჩვენი მოქალაქეების ჯიბეზე პირდაპირ აისახება – სწორედ ტურიზმია. ტურიზმის სექტორიდან არსებულმა შემოსავლებმა 2005 წლიდან 2016 წლამდე 241 მილიონ დოლარიდან 2.17 მილიარდ დოლარამდე აიწია[12].

დასასრულს, სტატიაში გაკეთებული მცირე ანალიზი გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ტურისტული მიზნით, სასწავლად თუ სამუშაოდ ჩამოსულ უცხოელებს დადებითი წვლილი შეაქვთ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. მათ მიერ ან დახმარებით შექმნილი დოვლათი ასობით მილიონ ლარს შეადგენს. გამოიკვეთა ისიც, რომ „საკრალური“ მნიშვნელობის სფეროს – სოფლის მეურნეობის მიმართაც არცთუ აქტიურ ინტერესს იჩენენ (ამას დაემატა შარშან კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილება, რის გამოც სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა ძალიან გართულდა). მცირეა მათი წილი საქართველოში მომხდარ დანაშაულში. შესაბამისად, უცხოელთა საწინააღმდეგო აქციები, ქსენოფობიისა თუ რასიზმის ტირაჟირება მხოლოდ იმას შეიძლება აძლევდეს ხელს, ვისაც საქართველოს წინსვლა არ აწყობს.

სტატიაში გამოყენებული წყაროები/დანართები

[1] *პროკურატურის მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია №KA011390759246518 (დანართი C).*

[2] *„უცხოელი ვიზიტორები. მათ მიერ/მიმართ ჩადენილი დანაშაული საქართველოში. 2015“.* http://police.ge/files/pdf/statistika%20da%20kvlevebi_new/geo/sxvadasxva%20statistika/2016/უცხოელი%20ვიზიტორები%202011-2015წწ..pdf

[3] *„2005-2013 წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე ლტოლვილის სტატუსის, მოქალაქეობისა და ბინადრობის ნებართვების გაცემის სტატისტიკა“.* https://idfi.ge/ge/statistical-information-on-foreign-citizens-being-granted-residence-permit

[4] *„სახელმწიფო სერვისების სააგენტოს მოქალაქეობის საკითხთა კომისიის ანგარიში 2013-2017“.* www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fანგარიში%2Fმოქალაქეობის საკითხთა კომისიის ანგარიში 2013-2017 წწ.pdf

[5] *„უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის სტატისტიკური გამოკვლევა“.* http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=Content&ID=23618107-f3c9-44d3-b3df-d4ded7caa250

[6] *„საქართველოს 2015 წლის მიგრაციის პროფილი“.* http://migration.co"mmission.ge/files/migration_profile_geo_may.pdf#%5B%7B%22num%22%3A95%2C%22gen%22%3A0%7D%2C%7B%22name%22%3A%22XYZ%22%7D%2C68%2C698%2C0%5D

[7] *„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახადების მონაცემები“.* https://mof.ge/images/File/finansebis-statistika-2018/february/saxelmwifo_tax_annual.xlsx

[8] *„სტუდენტთა გაგზავნა საზღვარგარეთ და უცხოელ სტუდენტთა რიცხოვნობა სასწავლო წლის დასაწყისისთვის“.* geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/education/studentTa%20gagzavna%20sazRvargareT%20da%20ucxoel%20studentTa%20ricxovnoba.xls

[9] *„მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილი უცხოელი სტუდენტები საქართველოში“.* http://migration.commission.ge/files/migraciis_profili_a5_geo.pdf

[10] *„საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი“.* http://migration.commission.ge/files/migraciis_profili_2017_a4_new.pdf

[11] *„საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა სტატისტიკური მონაცემები. 2017 წლის დეკემბერი“.* http://police.ge/ge/useful-information/statistics/sazghvris-kvetis-statistika

[12] *„შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან (ათასი აშშ დოლარი): 2005-2017. IDFI/datalab“.* http://www.datalab.ge/ge/dataview/v/260/

დანართი A. მიმართვა საქართველოს პროკურატურას

my.gov.ge

"მოქალაქის პორტალი - ჩემი ელექტრონული მთავრობა"
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ. „მონაცემთა გაცვლის სააგენტო"

კორესპონდენცია წარმოებულია საჯარო ორგანიზაციებთან ელექტრონული კომუნიკაციის სერვისის მეშვეობით

№ 59900 **20.03.2018**

საქართველოს პროკურატურა
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე
პასუხისმგებელი პირი საჯარო
ინფორმაციის გაცემაზე
პასუხისმგებელი პირი
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე
პასუხისმგებელი პირი

უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ ჩადენილი დანაშაული

გთხოვთ, მოგვაწოდოთ 2016 და 2017 წელს დანაშაულში მხილებულ უცხოეთის მოქალაქეთა რაოდენობის სტატისტიკა: დანაშაულის ჩადენის რეგიონის; დანაშაულის ჩამდენთა ეროვნების; დანაშაულის სახეობის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ამ სახის 2015 წლის სტატისტიკა უკვე განთავსებულია შსს-ს ოფიციალურ ვებგვერდზე, შემდეგ მისამართზე:
http://police.ge/files/pdf/statistika%20da%20kvlevebi_new/geo/sxvadasxva%20statistika/2016/%E1%83%A3%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%95%E1%83%98%E1%83%96%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%202011-2015%E1%83%AC%E1%83%AC..pdf
მოგახსენებთ, რომ ამ ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით უკვე მივმართეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს და პასუხად მივიღეთ, რომ აღნიშული სტატისტიკის თაობაზე მიგვემართა საქართველოს პროკურატურისთვის.

პატივისცემით,

გივი მომცელიძე
გივი მომცელიძე
პირადი ნომერი: 35001046199
მობილურის ნომერი: 599507566

დანართი B. საქართველოს პროკურატურის პასუხი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საქართველოს მთავარი პროკურატურა
Ministry of Justice of Georgia
Office of the Chief Prosecutor of Georgia

გორგასლის ქ. 24, თბილისი 0114, ტელ./ ფაქსი: +(995 32)2 405 142
24, Gorgasali str., Tbilisi 0114, Georgia. Tel/Fax: +(995 32)2 405 142

E-mail: [redacted]
www.justice.gov.ge www.psg.gov.ge

№ 13/26520 **11 / აპრილი / 2018 წ.**

გივი მომცელიძეს

ბატონო გივი,

თქვენი 2018 წლის 20 მარტის N59900 განცხადების პასუხად გეგზავნებათ 2016-2017 წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია როგორც მოქალაქეობის, აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით.

ამასთან, გაცნობებთ, რომ დანაშაულის ჩადენის ადგილის მიხედვით ინფორმაციის აღრიცხვას საქართველოს მთავარი პროკურატურა არ აწარმოებს.

დანართი: 5 ფურცლად.

პატივისცემით,

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის
უფროსი

ირაკლი ჩილინგარაშვილი

დანართი C. საქართველოს პროკურატურის მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემები

2016 წელს დევნის დაწყების მაჩვენებელი უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ (პირთა რაოდენობა)

ცხრილი №1

სულ დევნის დაწყება	**705**
ამერიკის შეერთებული შტატები	3
აზერბაიჯანი	101
ბანგლადეში	11
ბელარუსი	1
ბელგია	1
ბულგარეთი	1
განა	3
გერმანია	2
დიდი ბრიტანეთი	1
ეგვიპტე	5
ეთიოპია	1
ერაყი	7
თურქეთი	173
თურქმენეთი	1
ინდოეთი	7
ირანი	35
ისრაელი	5
იტალია	1
კანადა	1
კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა	4
კოტ-დ'ივუარი	4
ლატვია	2
მოლდოვა	7
ნიგერი	1
ნიგერია	18
ნიდერლანდი	1
პაკისტანი	4
პოლონეთი	1
რუმინეთი	1
რუსეთი	110
საბერძნეთი	3

საფრანგეთი	3
სირია	3
სომალი	3
სომხეთი	102
ტუნისი	2
უზბეკეთი	28
უკრაინა	17
ფინეთი	1
ყაზახეთი	2
ყირგიზეთი	5
შვედეთი	3
შრი-ლანკა	5
ჩინეთი	15

2016 წელს დევნის დაწყების მაჩვენებელი უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ სსკ-ის მუხლების მიხედვით

ცხრილი №2

სსკ-ის მუხლი	პირთა რაოდენობა
11'-120	1
11'-140	1
117	2
118	6
120	13
125	62
126'	9
143	4
143'	1
151	1
160	1
177	74
178	10
179	2
180	29
181	4
182	4
18-260	1
185	8
187	10
188	3
19-108	1
19-177	7
19-180	1

19-214	2
19-25-344	1
19-262	1
19-344	73
19-344'	1
194	7
200	22
212	1
214	69
218	3
230	3
236	24
239	4
240	9
24-360	1
25-182	1
25-344	1
254	14
260	114
261	32
262	47
263	15
265	1
273	4
275	1
276	32
286	1
300	1
322'	19
339	1
344	67
353	6
360	4
362	49
363	3
378	1
378''	7
381	3

2017 წელს დევნის დაწყების მაჩვენებელი უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ (პირთა რაოდენობა)

ცხრილი №3

სულ დევნის დაწყება	**769**
ავსტრალია	1
ავღანეთი	3
აზერბაიჯანი	116
ალჟირი	1
ამერიკის შეერთებული შტატები	1
არაბთა გაერთიანებული საამიროები	4
ბანგლადეში	37
ბელარუსი	1
განა	1
გერმანია	2
დიდი ბრიტანეთი	2
დომინიკელთა რესპუბლიკა	1
ეგვიპტე	19
ერაყი	5
ესპანეთი	1
ესტონეთი	1
თურქეთი	153
თურქმენეთი	3
ინდოეთი	21
იორდანია	1
ირანი	85
ისრაელი	10
იტალია	1
კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა	2
კონგოს რესპუბლიკა	3
ლიბანი	1
მაროკო	6
მოლდოვა	7
ნიგერია	8
პაკისტანი	6
პოლონეთი	1
რუსეთი	106
საბერძნეთი	3
სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა	1
საუდის არაბეთი	1
სირია	3
სომალი	5
სომხეთი	78
ტაჯიკეთი	2
უზბეკეთი	15

უკრაინა	23
ფილიპინები	1
ქუვეითი	2
ყაზახეთი	5
ყირგიზეთი	5
შვეიცარია	1
შრი-ლანკა	2
ჩინეთი	12

2017 წელს დევნის დაწყების მაჩვენებელი უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ სსკ-ის მუხლების მიხედვით

ცხრილი №4

სსკ-ის მუხლი	პირთა რაოდენობა
108	2
109	2
11'-115	1
11'-117	2
11'-120	4
11'-126	1
11'-140	1
11'-151	4
11'-19-108	1
11'-381'	1
117	1
118	3
120	8
125	2
126	43
126'	25
137	1
138	2
140	1
143	11
143'	1
150	2
151	4
157	1
160	1
170	2
177	51
178	12

179	2
180	20
181	11
18-140	1
18-144	1
182	3
185	5
187	3
188	1
19-108	2
19-177	18
19-180	5
19-200	1
19-214	5
19-25-344	1
19-260	3
19-263	1
19-344	125
19-344'	1
194	15
196	1
197	1
200	24
200'	2
200'''	1
205'	1
212	1
214	41
230	2
236	46
238'	5
240	1
25-341	1
25-370	1
254	5
260	132
261	26
262	31
263	9
265	1
273	1
273'	7
276	36

284	1
286	2
300	3
322'	11
323'	1
328	1
342'	1
344	82
344'	1
353	5
361	16
362	108
363	2
370	2
373	2
376	1
377	1
378	2
378''	3
381	2